ნიანგი

18

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1435). სექტემბერი. 1974. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ა რ ს ა დ ა ნ ი — ნათლიავ, მაპატიე, შემინდე, შემიბრალე!
ა რ ს ე ნ ა — ახლა ნათლიმამობა ველარ გიხსნის, ფარსადან!

ნახ. ჯ. ლოლუასი



— კაცო, ჯერ ფეხზე სიარული ისწავლოს ბავშვმა და მერე მიეცი საჭე ხელში!

ბადრი სკოლაში მიდის!

დღეს ბებია ძერი ფეხაკრეფით შევიდა ბადრის ოთახში და ფრთხილად მოუცაცუნა ხელი:

— ბადრიკო, დღეს სკოლაში მიდიხარ, ხომ იცი, ადექი, გენაცვალოს ბებია, არ დაგაგვიანდეს!

ბადრიმ თვალები გაახილა, წამოიზლაზნა, მერე:

— ასე ადრე როგორ უნდა ავდგე, მეძინება, — ჩაიბურტყუნა და გვერდზე გადაბრუნდა.

— სკოლიდან მოხვალ და დაგაძინებ, შენ შემოგევლოს ბებია, ადე, თორემ გაკვეთილი დაიწყება!

— როგორ, უჩემოდ დაიწყებენ გაკვეთილს? მერე შენ აქ არა ხარ, ბებო?

— იქ მასწავლებელი იქნება შენი უფროსი და იმას ეკითხება ყველაფერი! ის თუ გაგიჯავრდება, ან დაგტუქსავს, მერე ჩემთან ექნება საქმე. — აუხსნა ბებიამ და ბაბუა ისიდორეს მიუბრუნდა, — აბა, გავარდი ჩქარა, რძე, ხაჭო და არაჟანი მოიტანე, ბადრიკოს უნდა კარგად ვაჭამოთ, სკოლაში არ მოშივდეს!

— სკოლაში თუ მოშივდება, იქ მშვენიერი სასაუზმეა. — უპასუხა ბაბუამ.

— რა უნდა ბადრის სკოლის სასაუზმეში? — იკივლა ბებიამ. — რა უნდა ჭამოს იქ ბავშვმა ფეხზე დამდგარმა? ჩაით დაიმდუღროს პირი ან ბუზის ნაჯდომი შეხვდეს რამე. ეს რა მითხარი, კაცო?! გადამრია ქალი. წადი ახლავე ჩქარა!

ბაბუამ კარები გაიჯახუნა.

— დედა, სად არის ბადრიკოს ახალი ამერიკული ჯინსები? — შეეკითხა ბადრის დედა.

— აგერ არის, შვილო, დალაგებული, რაც უნდა ჩაიცვას ბადრიმ. აგერ ჯინსები, აგერ დაქარგული ფრანგული პერანგი, ინგლისური ფეხსაცმელები, პოლონური წინდები და გერმანული ჩანთა!

— წიგნები მაინც გაატანეთ ქართული! — ვერ მოითმინა ბადრის მამამ.

— ძლივს ნაშოვნი წიგნები და მოსკოვური რვეულები დიდი ხანია ჩაწყობილი მაქვს ჩანთაში! მაგას შემოევლოს მისი ბებია! ეს რა მელირსა, ბადრი მიდის სკოლაში?! ცუცა, ჩაალაგე მაგ პატარა ჩანთაში ბადრიკოსათვის საუზმე: კარაქიანი პური, თაფლი არ დაგავიწყდეს, ხილი, ორი ნაჭერი ნამცხვარი და თერმოსით ყავა!

— კი მაგრამ, სად უშვებთ ამ ჩემს შვილს — სკოლაში თუ ექსკურსიაზე? — ველარ მოითმინა ბადრის მამამ.

— არაა მაგ შენი საქმე! — მიაყვირა სიდედრმა სიძეს. — შენ ის გირჩევნია, მანქანა გააკრიალებინე, მივასრიალოთ ბადრიკო სკოლაში!

მუთაქასავით ჩატენეს ბადრი ახალ ჯინსებში. ძლივს შეუკრეს ღილები, ისე ჰქონდა პატარა ღიპი გადმოვარდნილი. თვალები არ უჩანდა ვაშლივით დაბრაწული ლოყებიდან.

ჩანთა ბაბუას მიაჩეჩეს, ბებიამ საუზმის კალათა დაიჭირა ხელში, მამიდას ქოლგა და საწვიმარი ლაბადა მიჰქონდა ყოველი შემთხვევისათვის, მანქანაში ძლივს მოთავსდა მთელი ოჯახი.

— სირცხვილია, ხალხო! — არ ცხრებოდა ბადრის მამა, — გეგონება შორეულ ქვეყანაში ვისტუმრებთ. სკოლა ორ ნაბიჯზეა, დაგვცინებენ.

— ვინ დაგვცინებს, ვინ? —გამოეპასუხა სიდედრი.— ნახავ აგერ რა მანქანების გრიალი იქნება სკოლის წინ! შენ ხომ არა გგონია, მარტო შენი შვილი მივა მანქანით!

სკოლასთან მართლაც უამრავი მანქანა იდგა. ბადრი ამაყად მიაბიჯებდა წინ, უკან კი ოჯახის წევრების მთელი შტატი მიჰყვებოდა: ბებია, ბაბუა, მამა, დედა და მამიდა. კლასის კარი რომ მიიხურა, ბებიამ შეიცხადა:

— ვაი შენს ბებიას, როგორ უნდა იჯდეს ჩემი ბადრიკო ამდენი ბავშვების ნასუნთქ ჰაერში?

თან წამოღებული გასაშლელი სკამი გაშალა და საუზმის კალათა მუხლებზე დაიდგა.

— ახლა ყველანი წადით, თორმეტ საათზე მოგვაკითხავ მანქანით! — გენერალივით გასცა განკარგულება სიდედრმა და ქვემოდან ახედა ოჯახის წევრებს, რომლებიც წიწილებივით დაიფანტნენ.

ბებია თანდათან შედიოდა ახალ როლში.

თინა ჟორჟოლიანი

ავტოტრანსპორტის ინსპექციის გადაფორმეგა-გადმოფორმეგის განყოფილეგას

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ჩემს საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ვოლგა“ (49—11) გაფორმებული მაქვს ჩემი სიდედრის ქენია ნასყიდაშვილის სახელზე და ვატარებ მინდობილობით. აღნიშნული დარღვევა, თუ ამასაც დარღვევა ჰქვია, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩემს სახელზე გაფორმებული აქვს თავის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ (10—70) ჩემს ბიძაშვილს (მამის მხრიდან) რევაზ თამაზის ძე რამაზაშვილს, რომლის სახელზე აქვს გაფორმებული ავტომანქანა „ჟიგული“ (67-69) მის ცოლისძმას კოლია მალაქიას ძე ყარაულაშვილს, რომლის სახელზე თავის მხრივ გაფორმებული აქვს თავის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ვოლგა“ (66—77) ყარაულაშვილის დეიდაშვილს (დედის მხრიდან) ნასყიდა გიორგის ძე დარაჯაშვილს. აღნიშნული გამოიწვია იმან, რომ დარაჯაშვილის სახელზე გაფორმებული აქვს თავის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ჟიგული“ მის ქვისლს ქუცა კლიმენტის ძე ლონდარიძეს, ვინაიდან ამ უკანასკნელის სახელზე გაფორმებული აქვს თავის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ვოლგა“ მის მეზობელს ჟორა ოქუნოვს. აღნიშნული დარღვევა გამოიწვია იმან, რომ ჟორა ოქუნოვს აქვს თვიური ხელფასი 73 მან. და 37 კაპ. და ამის გამო, ცხადია, ვერ გააფორმებდა თავის სახელზე მანქანას, რომელიც ღირს 9161 მან. და 97 კაპ.

მოგახსენებთ, რომ ვეყრები ცოლს და რადგან ჩემი სიდედრი ქენია ნასყიდაშვილი ვერ მიტანს როგორც პიროვნებას, ამიტომ გაყრის შემდეგ არ დამიბრუნებს ჩემს „ვოლგას“. აღნიშნულის გამო, გთხოვთ, ჩემს საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ვოლგა“ (49—11) გადმომიფორმოთ ჩემს სახელზე, მაგრამ რადგან ერთ პიროვნებას არ შეიძლება თავის საკუთრებაში ჰყავდეს ორი ავტომანქანა, ამიტომ ჩემს სახელზე გაფორმებული ავტომანქანა „მოსკვიჩი“ (10—70), რომელიც ეკუთვნის ჩემს ბიძაშვილს რევაზ თამაზის ძე რამაზაშვილს, გადაუფორმოთ ჟორა ოქუნოვს, რომელსაც აქვს თვიური ხელფასი 73 მან. და 37 კაპ., რაზეც რევაზ თამაზის ძე რამაზაშვილი თანახმაა და ადასტურებს განცხადებით ოქუნოვიც თანახმაა.

ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგოთ, მხედველობაში მიიღოთ ჩემი განცხადების გულწრფელი ტონი და ჩემს საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ვოლგა“ (49—11) გადმოაფორმოთ ჩემს სახელზე და არ გაახაროთ ჩემი სიდედრი.

რამაზ თამაზის ძე რამაზაშვილი
ჩაიწერა ქ. ივ. ...

პროტექტორის რჩევა-დარიგებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი კისერზე დაისვი და კარგ თანამდებობაზე დაგსვამს!

დირექტორს თუ სულში უზიხარ, მაშინ სკამზეც მაგრად ზიხარ!

ღრუბლიანი ამინდის ნუ შეგეშინდება, ოღონდ მზე უფროსზე ამოგდიოდეს!

დრო ლხინში თუ გინდა ატარო, უფროსი ხელისგულზე ატარე!

ჯუმბერ უთრუთაშვილი

ჭორისა და ჭირის გამავრცელებელი ერთი და იგივეა.

რაც არ უნდა სათნო და კეთილი იყოს სიდედრი, იმდენს წერენ მასზე, რომ, ბოლოს, მაინც გაბოროტდება.

დავით ჩირგაძე

ნახ. გ. ფირცხალავასი

უსიტყვოდ

უსიტყვოდ

ნახ. მ. აბაზიისა

— მორწმუნეთა რიცხვი გაგეზარდათ, მამაო?
— საკრძნოლად, შვილო ჩემო, ტურისტებისა და ღვთის მოწოვნით..

მინიატურები

ზღვი ჰირი...

მოსაცდელში მომცდელებს მოცდა არ სჯირდებათ, რომ ერთმანეთი გაიცნონ.

თავიდან ერთი იწყებს ამბავს მერე მეორე აგრძელებს და ეს ამბავი მანამდე გრძელდება, სანამ რომელიმე მომცდელი ახალშემქნილ მეგობრებს უდროოდ არ გამოაკლდება (ამ შემთხვევაში იგულისხმება არა უბედური შემთხვევა, არამედ პირიქით — ბედნიერი, როცა კაცი საქმეზე კი არა, კაბინეტში შედის).

— ...25 წელიწადია ამ განცხადებას ხან ერთ კაცთან დავიარეგ, ხან — მეორესთან... — თქვა ახალი ამბავი ერთმა ხანდაზმულმა მანდილოსანმა და უაზროდ გაუცინა ყველას.

— იჩივლეთ!

— რა მაქვს საჩივლელი!.. — ჩამოჩაჩილი მხრები აიჩეჩა უანაუმმა დედაკაცმა.

— როგორ, აბა კმაყოფილი ხართ?

—რატომაც არა, გენაცვალე, ამ განცხადებამ უამრავი ხალხი გამაცნო.

გელა თელია

ქრიალოსანი

● სიმღერა ისეთი სიამოვნებითვე რიდი ამბადება, რა სიამოვნებითაც ჩვენ მას ვუსმენთ.

● მეინახეთაგან აღიარებულ პოეტს:
— მეფე ხარ. მე კი ის ბავშვი ვარ, რომელმაც შეეძახე: — „მეფე შიშველია“!

● ყველგან და მუდამ მოოლიდ სინოეტიკური ნაძღის ხე ხარობს.

● მაღალ ხარ, ვით ბაკრში ახროლილი ჭვა!

ვლადიმერ თოროდუა

ნახ. მ. აბაზიისა

— საოცარია, დღეს ამის გარდა არსაპ! არ შეგსულარ და ფული ვინ ამომაცალა ჯიბიდან?!

ნახ. ბ. ლეონიძისა

ესპატყეოდ

დაკარგული „ზაპოროჟეცი“ და ნაპოვნი ელექტრიკოსი

— ნიკოლაევენ, დირექტორო გთხოვთ! — შარეულითლა ვაცანი სამეზე ოფეზმაშოლილი ჩვენი დირექტორის მდივანი.

— ხომ არ იცი, რაზე ეეგმაბს? — მოგაგეზე სიტყვა.

— არა.

გიგანალიზე ჩემი განეგალილი მეგმობა. იქნებ, შეეცდობა გამეეპარა? ან იქნებ, მაწინაურებენ? არა, ეს ფანტაზიაა! თუ გაზეთის რედაქტორობაზე ჩამომიდგეს ლაპარაკი, მაშინ მივაგლეთ: „თუკი სხვა თანამდებობაზე მოეკავეს ნათესავები, ბარემ კედლის გაზეთიც მათ ჩაბარე!..“

ილუმალი ფიქრებით შეეალე დირექტორის კაბინეტს კარი.

— ნიკოლაევენ, ოხ! ეს! მეგმეკლეგ, მაგრამ, მოვალე ვარ, ვითხრაო, — მწუხარების გაწწეობაში გადამაგდო დირექტორმა.

— რა მოხდა?! — ილუმალად გადავეხედე ჩემს ნათესობას: ვინმე ხომ არ იყო მაქეულ ეაბრიელთან ლიმატირებული და სულის გამოცდები ხომ არ ჩაბარა წარმატებით?

— ნიკოლაევენ, სახლმპრთველმა დამირეკა, რომ გარეკედან თქვენი „ზაპოროჟეცი“ გიატაცეს! მილიციას უკვე შეატყობინეს.

— დაუჯერებელია!

— დაწყნარდით! მილიცია ყველაფერს იღონებს...

— დაუჯერებელია ჩემი მანქანის გატაცება! ძრაგეს სიშელაუბით ჩემი მანქანის თვლები ერთი ერადესითაც ვერ ამატრიალდება, აკუმულატორიდან დენი იკარგება. ეერც ერთმა ელექტრიკოსმა ვერ აღმოაჩინა უეშსიროობის მიზეზი. რაც მაკაზე ფეული მაქეს დაბარეული, საკუთრად ერთ პროფილაქტიკას ავაშენებდი. ამგდღლთ, ეგმაღლთ! — ღიმილით დაეეშშეიდობე უფროსს.

ჩემს ოთახში შეეედი და დამეიდებით შეედგეკი საქმეს. არა, მინც დაუფიქრებელად იკიან მილიციაში დარეკეკ, ეს სულ ჩემი სახლმპრთველის ბრალია: ერთხელ სოფელში არ წეეეკვენე და იმ ღღიდან გადავეეკადი ჩემს „ზაპოროჟეცს“ და მე. ეადრი იკარა, მაშინებს, მანქანა მოგტაცესო... ოფიციალურეტს ვკითხავ, ასეთ მანტაკეს რა მეხლი უდგება! მე ბკონია, ხელოვნობაა. პოდა, ჩვენს სახლმპრთველს ერთიორი წლით გაკვთვარაკებინეკ ერთითთანიან ინოლარებელ ბინაში.

ვერ ვიბოვე კაეი, რომელსაც ჩემი მანქანის დაკარგული დენი ეპოვოს, გაკვანილობა გამოკვალეთ! იქაც რომ დაიკარგოს, მერე სად მიდიხარ? რომელი ღეეი და პრაკი მე მაქვს?!

— ნიკოლაევენ, ეს რა მოგსულიხთ?! — თანამიგრძნო ჩვენმა უფროსმა ინჟინერმა.

— ნეტავ ისე იკოფოთ, ავგარაკში არ იყოს მოგრჩილი! — ამოსუნთქეკ არ ბაკლა უკრძალეკ ინჟინერმა. — ბოდიშს ვიხდ, ამხანაგო მანქანა მეტ ეეგ ... ეეგ ... ეეგ ... ...

30.IX 74

ნახ. მ. აბაშიძისა

— ასე თუ ურტყეს ამათ კარში, ჩვენს შტატებს ნამდვილად გააუქმებენ!

ნახ. გ. ფირცხალავასი

— შენთან ვარ საპროტექციოდ, მამამ კინოში გამიშვასო.
— ა-პა-პა, პროტექცია არ გამაგონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურმოკრული დიალოგები

— „სამი-სამი-სამი-სამი...“ ესაა, ბიჭო, ღმერთივით ატესტატი?
— ღმერთიც სამებითაა, ბებო!

— ალო, ტელეფონ-ავტომატის ჯიხურიდან მოგახსენებთ რაზმეულის გუშაგი, ორი ხულიგანი დავიჭირე!
— ახლავე მოიყვანე ორივე!
— კარებს არ მიღებენ, უფროსო!

— აღარ გიყიდი ზღაპრების წიგნს...
— მე თვითონ ვიყიდი!
— ფულს როგორ მოაგროვებ?
— პაპიროსის წევას თავს დავანებებ...

— ოფიციანტო, ამ ახალგაზრდას გადაახდევინე?
— კოსტუმი კი არ გავახდევინე?!

ქართლოს კასრაძე

აფორიანი ფრაზები

ყველა ლაპარაკობს, ღვინო ნორმაზე მეტი არ უნდა დალიოო, მაგრამ არავინ ამბობს, რამდენია ნორმა?!

საქორწინო ბეჭდით დასტურდება ცივი ომის თბილად დაწყება.

ცოლი იმდენადაა აყოლილი მოდას, რამდენადაც მასზე დაყოლილია ქმარი.

გიგლა გასტაძე



უფროსი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდაო, — უთქვამს ხალხს... თუ არ უთქვამს, მე ვამბობ. თუმცა უფროსი უფროსს გააჩნია. ზოგი უფროსია ,თავს ანაცვალებ. ზოგი კიდევ დაგიწყებს ლაილაის: ნუ იგვიანებ, ნუ აცდენ, შესვენებიდან დროზე დაბრუნდი, სამუშაო დროს ნუ ფლანგავ, შეცდომებს ნუ უშვებ და ათასი წვრილმანით გულს გაგიწყალებს. საათი რომ საათია, ისიც იგვიანებს ხოლმე, დროსაც აცდენს. მაშასადამე, შეცდომებსაც უშვებს, სამუშაო დროსაც ფლანგავს და მე რომ გავაცდინო, რა მოხდა, მეც ხომ უფრო ადამიანი ვარ!

ვინა ვარ?!

კაცი ვარ, კაცური კაცი, ვაუკაცი!

რა ვუყოთ, რომ ცოტა ხელმოჭერილი ვარ, მიყვარს სხვის ხარჯზე სადილი, ვახშამი (საუზმესაც მოვახერხებდი, მარა აღრე მიყვარს ჭამა და დილაადრიან ვის მივადგე), სამდღიან მივლინებას ერთ დღეში ვამთავრებ, მივლინების ფურცელს კი სამი დღით ვაფორმებ, ორ დღეს ჩემს საქმეზე ვიყენებ — მერე რა!

სამაგიეროდ ძმაბიჭებზე გადაყოლილი ვარ, საქელეხოდ, საქორწინოდ ღვინოსა და ცხვარს ვუშვები, გავყვები, გამოვყვები, „ჟიგულიც“ ვიყიდე, თანამშრომლებსაც მივემსახურები — კაცნი ვართ, სიტყვას შემაწევენ, საზოგადოებრივ აზრს შექმნიან.

უფროსი?! დასწყევლოს ღმერთმა! სული შემიღონა, ნერვები დამაწყვიტა, ნამდვილი მეწვრილმანეა! თვითონ სახლიდან გამოგდებულივით ყველაზე აღრე მოდის და ყველაზე გვიან მიდის, თანაც — მე ბომბაძეთო! უჰ, მაგისი... დამანებოს თავი, თორემ იმდენი მე ვიხარო, თუ თავს არ დამანებებს, დავუწერ, ყველაფერს დავუწერ, თეთრსა და შავს ერთმანეთში ავურევ, წავიდნენ და არკვიონ.

— ალო, ბატონი კოტე ბრძანდებითო?
— მე ვარ.
— ბატონო კოტე, ძალიან ცუდად ვარ! (შენ გახდი ცუდად) ორმოცი მაქვს და თანაც, ბოდიში, ლილობა და გულისრევა საშინელი...
— გაურეცხავი ხილი ხომ არაფერი ჭამეთ?
— (გაურეცხავი შენ ჭამე, ჩაგისკდა მუცელი) **რა** მოგახსენოთ, რა ვიცი... ექიმს გამოვუძახებ და ალბათ...
— კი, კი, დაუყოვნებლივ გამოუძახეთ. სახლში მარტო ხართ?
— მარტო ვარ, ცოლ-შვილი სიდედრთან არის სოფელში.
— დროზე დაურეკეთ ექიმს, სასწრაფოდ გამოუძახეთ. თავს გაუფრთხილდით, ხომ იცით, ზაფხული ამ მხრივ საშიშია!
— (წაიღო ტვინი ამ ჩერჩეტმა!) კი, კი...

ყურმილი დავდე და ჩავიცინე: ესეც შენ, დღეს სახლში ვიქნები, ჩემმა დაქალმა ლილიკომ ბიულეტენი უკვე გამიხსნა და ხვალ ერთი კვირით ჰაიდა, სოხუმში... რამე რომ იყოს, ვიტყვი — დასთან ვიწექიმეთქი. დღეს კი, ყოველი შემთხვევისათვის, სახლში ვიჯდები, სამგზავროდ მოვემზადები. უჰ, ტანჩკა უკვე იქ არის, ვენაცვალე იმას, რა გოგო! „აფხაზეთო, აფხაზეთო, სულზე უფრო სანეტარო“. უმღერა დიდმა პოეტმა. ეშერა, ამრა, ფაცხა, „კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქალაქელი ვარ, თბილისელი გურიმონდა იაშაშვილი; თუკი ვინმე გამიჭირვებს, სისხლს დავლევ მისს! ძაღლე ბიჭი, გრძელი ცხვირი, თქვენი ჭურიმე!“ ჭირი მე კი არა, თქვენი ჭური მე, თუმცა ჭური რათა, ქვევრი, ქვევრი მე...

მანქანა საიდან იყიდეთ? რა შენი საქმეა! სულ წუწუნებ, სადილის ფული არა მაქვსო და... ძმაბიჭებმა როგორ გასესხეს და თუ გასესხეს, რითი უხდიო? რა შენი საქმეა, შენი...

საიდან ვიყიდე და შენნაირი ჩურჩუტი უფროსი კი არ მყავდა, კაცი იყო მმართველი, ორგანიზაციაც ღონიერი, კაცური კაცებით იყო სავსე, ცოლს რომელიმე მათგანზე ანონიმკას დავაწერინებდი. ზეპირად ვიცოდი მათი შანსები, ტოჩკაში კურტყამდი. უფროსი იმ ანონიმკას მე დამაწერდა, ზოგიერთი ფრაერივით მილიცას კი არ გადაუგზავნიდა. მეც მივაწვებოდი, ისინიც დადებდნენ... იმ უფროსმა ერთ სამ ალაგზე გადამიყვანა, შვილიც მომინათლა, მაგრამ... დღეს თვითონაც უმუშევარია. მე კი შენთან... უჰ, შენი... რა შენი საქმეა, შენი... ჰიანინო გავყიდე და იმით ვიყიდე...

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ვიღაცამ კარზე მოაკაკუნა. გავაღე და...

— მობრძანდით...
— გურიმონდა იაშაშვილი თქვენ ბრძანდებით? — მკითხა ხუთიდან ერთმა, საკაციანის გვერდით რომ იდგა.
— დიახ...
— ჯანმრთელობის განყოფილებიდან დაგვირეკეს, გვითხრეს, რომ მუცლის ტიფის ნიშნები გქონიათ.
— ვინ გითხრათ?!
— თქვენი უფროსი შეწუხებულა საშინლად, დაურეკია, კაცი არ დამეღუპოს, მიშველეთო. აი, უფროსიც მაგას ჰქვია...

დანარჩენი აღარ გამიგია. ხუთივე თეთრხალათიანი ოთახში შემოვიდა, საკაცე გაშართეს.

— თვითონ წამობრძანდებით, თუ საკაცით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად „ნასკები“ და სად „ტრუსები“

სიღნაღის რაიონიდან რედაქციაში შემოვიდა ერთი „მამხილებელი“ შენიშვნა. როგორც ჩანს, განმცხადებლები აალელვა თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ ნაწარმზე — ქალის ტრუსებზე მიმაგრებული იარლიყის წარწერაში დაშვებულმა „შეცდომამ“. სად წინდები და

УВАЖАЕМЫЙ ПОКУПАТЕЛЬ!

Рекомендуем стирать изделия в тёплом растворе стирального порошка или мыльного раствора, не выше 40°С.

После стирки слегка отжать, сушить в расправленном состоянии.

Температура глажки не выше 110—120 градусов.

ЖЕЛАЕМ СЧАСТЛИВОЙ НОСКИ!

სად ტრუსები?! დარწმუნებული ვართ, რომ ეს გაკვირვება გადაედებათ თვით შეცდომით აღშფოთებული ჯგუფის წევრებსაც, როდესაც გაიგებენ, რომ რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: «Желаем счастливой носки» იკითხება ასე: „ბედნიერებაში გეტარებინოთ!“

განცხადება

ჟურნალ „ნიანგის“ საიუბილეო კონკურსის ვადა გაგრძელებულია ა. წ. 30 ნოემბრამდე.

გალის რაიონიდან გვწერდნენ: სოფ. მუხურის ზემო უბანში გახსნილია სასურსათო მაღაზია, რომელიც აშენებულია კერძო პირის მიერ და კერძო ვაჭრობაა გაჩაღებულიო.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა გალის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა გვიპასუხა: **„...სოფელ მუხურის ზემო უბანში გახსნილი იყო სასურსათო მაღაზია, რომელიც ამ ზონის მოსახლეობას ემსახურებოდა. შემოწმების დროს გამოირკვა, რომ მაღაზიის შენობა აჩიგვარის სოფლის კოოპერატივის ყოფილი თავმჯდომარის დ. შარიას ნებართვით აშენებული ყოფილა კერძო პირის მიერ საკუთარი სახსრებით, სადაც თვითონ მუშაობდა გამყიდველად. რადგან მაღაზია აშენებული იყო არაკანონიერი გზით, ზემდგომი ორგანოების მითითებით, იგი დახურულ იქნა, ხოლო აჩიგვარის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე აღნიშნული და სხვა დარღვევებისათვის მოხსნილ იქნა თანამდებობიდან“.**

ნიანგის რედაქცია შიშობს, უყურადღებობით სახსრების დაავადება არ გაუჩნდეთ საკუთარი სახსრებით მშენებლებს.

* * *

ჟურნალი „ნიანგი“ 1971 წლის მარტის № 6-ში აღნიშნავდა დუშეთის რაიკოოპკავშირის სპეციალურ წიგნის მაღაზიაში გამეფებულ სიცივეზე. თბილი ქვეყნების მაცხოვრებელ ნიანგს უაღრესად ეცოდება სიცივით დაჩაგრული ადამის შვილები და აკი ამიტომაც რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის სერგო წიკლაურის ცნობას უახლოეს დროში მაღაზიის გათბობის შესახებ ხელების ფშვნეტით შეეგება. მაგრამ გავიდა ორი წელი და იმ ოთახებში ზამთარში ისევ ისეთი კოსმოსური სიცივე იყო გამეფებული, რომ იქ მომუშავენი კბილებით ისევ დავლურს უვლიდნენ.

ნიანგს სურს შეეკითხოს პატივცემულ წიკლაურს — მისი კაბინეტი რომ ამ ზამთარს სპეციალურ წიგნის მაღაზიაში გადავიტანოთ, ხომ არ იქნება უკეთესი?



— სად?

— როგორ თუ სად — ინფექციურში.

— ინფექციურში რა მინდა?

— როგორ თუ რა გინდათ. აი ტელეფონოგრამა. დავალება გვაქვს სასწრაფო:

— არსადაც არ წავალ. მე ცოტა კუჭი... და გულისრევა მაქვს, თორემ.

— მაგას ყველა შეუგნებელი ავადმყოფი ეგრე ლაპარაკობს, ჩვენ კი ჩვენი საქმე ვიცით. თვითონ წამოხვალთ, თუ...

—როგორ გეკადრებათ, მე სულაც აღარა ვარ ავად!

—როგორ, ნახევარი საათის წინ ორმოცი გქონდათ, აშლილობა, გულისრევა, ახლა აღარ ხართ ავად?

— აღარც სიცხე მაქვს და აღარც გულისრევა, დამანებეთ თავი!

ამასობაში ერთმა ყურში ჩაუჩურჩულა იმას, რომელიც უფროსი (გაწყდა უფროსების სინსილა) ჩანდა და მელაპარაკებოდა, უკანასკნელმა კი ხმამაღლა გაიმეორა.

— ჰო, ეტყობა, დიდი სიცხის გამო გონება ცოტა აერია, ხდება ხოლმე. აბა, ბიჭებო...

გამკოჭეს, შემკრეს და საკაცეზე დამდეს. ოფლად ვიღვრები, სული მეხუთება, ძალა მელევა, აგვისტოს სიცხე უარესად მტანჯავს.





— დახეთ, დახეთ რა დღეშია! როგორც კი მივიყვანთ, ფსიქიატრს უნდა ვაჩვენოთ, თორემ...

— აღარა ვარ ავად, მოვრჩი, დამანებეთ თავი, ახლავე წავალ სამსახურში, აღარ მინდა ბიულეტენი, აღარც სოხუმი, აღარც ტანია, აღარც ეშერა და ამრა მინდა...

— გაგიჟდა?

— აბა, ჭკუაზე მყოფი ამას ილაპარაკებს, მართლაც რომ ასე იყოს?

— არა, დიდმა სიცხემ იცის ხოლმე. დახეთ, რა საშინლად გაოფლიანდა, სულ სველია.

— რასაკვირველია, ტიფის პირველი ნიშანი შეუკავებლობაა.

— არა ვარ ავად, სიმულანტი ვარ, უსაქმური, ბეცი, უცოდინარი, ინტრიგანი, ჩალიჩა, უფროსი მართალია!

— გაგიჟდა!

— არა, გაუვლის თუმცა... ასეთი ლაპარაკი ნამდვილად ფსიქიური მოშლილობის ნიშნებია.

— მაშ, ფსიქიატრიულში?

— არა, ტიფიანს იქ როგორ მივუყვანთ, ხომ გადადო საცოდავებს. სასწრაფოდ ინფექციურში! — უთხრა უფროსმა (გაწყდეს თქვენი სინსილა) შოფერს, როგორც კი სასწრაფოში შემაგორეს საკაცეზე თასმებით დაკრული. — ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ, მერე კი მაგარი იზოლაცია დასჭირდება და ფსიქიატრსაც იქ მიუყვანენ. აბა, ჰე, ჩქარა ,თორემ გათავდა კაცი!

უჰ, ლილიკო, შენ გაგიწყრა ღვთის მადლი, შენ ამტეხე იმ შენი ბიულეტენით, ყველაფერი შენი ბრალია. — ვფიქრობდი მისავათებული და ენას კბილს ვაჭერდი, სისულელე კიდევ არაფერი წამომცდეს-მეთქი, თორემ ინფექციურისა და ფსიქიატრიულის მაგივრად სხვაგანაც შეიძლებოდა ამომეყო თავი. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!

გივი კარბელაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ), გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. შველიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 23/VIII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IX-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14 ⊙ შეკვ. 3144. უე 01876. ტირ. 133.572. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, გ. ფირცხალავა, ტ. ლომიძე, ა. შენგელია, ზ. ბოლქვაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგეჭკორი ?

— გავიყიდე კაცი ბეგიის საფლავის გათხრაში.
— გეთქვა, შე კაი კაცო, ჩემთვის, თანამშრომელი მყავს, უფა-
ლოდ მითხრის საფლავს!

Индекс 76137